

# პრეკლინიკური პაროდონტოლოგია

პრეკლინიკური პაროდონტოლოგიის კურსის შინაარსი მოიცავს: პაროდონტის შენებას, სისხლმომარაგებას, ლიმფური სისტემას და ინერვაციას, ასაკობრივ ცვლილებებს პაროდონტში, პაროდონტის და პირის ღრუს ლორწოვანი ფუნქციებს, ძირითად ცნებებს პაროდონტოლოგიაში; პაროდონტის დაავადებათა კლასიფიკაცია, პაროდონტის დაავადებათა ეტიოლოგიასა და პათოგენეზს; პაციენტთა გამოკვლევის ძირითად, დამხმარე, კლინიკურ, რენტგენოლოგიურ, ლაბორატორიულ და ფუნქციური კვლევის მეთოდებს.

## ლექციები (2 საათი)

№	თემა
1	პაროდონტისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანატომიურ-ფიზიოლოგიური თავისებურებანი და ფუნქციები. პაროდონტის დაავადებათა მქონე პაციენტთა გამოკვლევის მეთოდები.
2	2 პაროდონტის დაავადებათა ეპიდემიოლოგია, ეტიოლოგია, პათოგენეზი, კლასიფიკაცია.

## პრაქტიკულ-სემინარული მეცადინეობები (40 სთ = 10 X 4სთ)

№	თემა
1-2	პაროდონტისა და პირის ღრუს აგებულება, ანატომია, ჰისტოლოგიური შენება, სისხლმომარაგება, ლიმფური სისტემა და ინერვაცია.
3	ძირითადი ცნებები პაროდონტოლოგიაში. ასაკობრივი ცვლილებები პაროდონტში.
4	პაროდონტის ქსოვილთა კომპლექსის და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ფუნქციები და მათი დარღვევის პრეკურსორები.
5	პაროდონტის და პერი-იმპლანტის დაავადებების და მდგომარეობების კლასიფიკაცია (2018 წ.), ფურკაციის ჰორიზონტალური დაზიანების კლასიფიკაცია, ღრმილის რეცესიის კლასიფიკაცია (cairo F.), ალვეოლური ძვლის ვერტიკალური და ჰორიზონტალური განლევის კლასიფიკაცია.
6	პაროდონტის დაავადებათა ეტიოლოგია, ადგილობრივი და ზოგადი ხელშემწყობი ფაქტორები, პათოგენეზი. მიკრობული ფლორის მნიშვნელობის კლინიკური ინტერპრეტაცია პაროდონტის ანთებადი დაავადებების დროს.

7	პაროდონტის დაავადებების მქონე პაციენტთა კვლევის კლინიკური, რენტგენოლოგიური და ლაბორატორიული მეთოდები. ორთოპანტომოგრამის ინტერპრეტაცია, Fლორიდა პრობე-ით შედგენილი პაროდონტოგრამის შეფასება.
8-9	მანუალური ჩვევების შესწავლა ფანტომებზე (პაროდონტული ჯიბის ზონდირება და სიღრმის დადგენა, კბილის მორყევის ხარისხის განსაზღვრა).
10	შემაჯამებელი მეცადინეობა ჩათვლა

## კლინიკური პაროდონტოლოგია

კლინიკური პაროდონტოლოგიის კურსის შინაარსი მოიცავს: გინგივიტის, პაროდონტის ნეკროზული დაავადებების, პაროდონტიტის, პაროდონტული აბსცესის, ეპულიდების, მემკვიდრული ფიბრომატოზის, პაპილონ-ლექვერის სინდრომის, დეკომპესირებული შაქრიანი დიაბეტის, აივ ინფექცია/შიდსის კლინიკას, დიაგნოსტიკას და დიფ. დიაგნოსტიკას; პაროდონტის დაავადებათა მკურნალობის ზოგად პრინციპებს და კონცეფციას; პირის ღრუს ინდივიდუალურ და პროფესიულ ჰიგიენას; პაროდონტის ანთებადი ბუნების დაავადებების კონსერვატულ მკურნალობას - პაროდონტული ჯიბეების დახურულ და ერთმომენტიან კიურეტაჟს; მედიკამენტურ მკურნალობას; ქირურგიული, ორთოპედიული, ორთოდონტული და ფიზიკური მკურნალობის მეთოდებს.

### ლექციები (7 საათი)

№	თემა
1	პაროდონტის და პერი-იმპლანტის დაავადებების და მდგომარეობების კლასიფიკაცია (2018 წ.). ჯანმრთელი ღრძილი და პაროდონტი. კატარული გინგივიტი (მხოლოდ კბილის ბალთით გამოწვეული გინგივიტი). ჰიპერტროფული გინგივიტი (ღრძილის ზომაში მატება - ნადებით გამოწვეული გინგივიტის მაპროვოცირებელი ფაქტორები და მედიკამენტებით განპირობებული ღრძილების ზომაში მატება). მწვავე წყლულოვან-ნეკროზული გინგივიტი (ნეკროზული გინგივიტი). ქრონიკული და ქრონიკული გამწვავებული წყლულოვან-ნეკროზული გინგივიტი (ნეკროზული პაროდონტიტი).
2	პაროდონტიტი. სტადიები, დონეები, გავრცელება. პაპილონ-ლექვერის სინდრომი. დეკომპესირებული შაქრიანი დიაბეტი. აივ ინფექცია/შიდსი. პაროდონტომები. ეპულისი (ეპულიდები), ფიბრომატოზი (ღრძილის მემკვიდრული ფიბრომატოზი).
3 4 5	პაროდონტის დაავადებათა მკურნალობის ძირითადი პრინციპები და თავისებურებანი. მკურნალობის თერაპიული მეთოდები. პაროდონტის დაავადებათა ფარმაკოთერაპია.

6	პაროდონტის დაავადებათა მკურნალობის ქირურგიული მეთოდები
7	პაროდონტის დაავადებათა მკურნალობის ორთოპედიული და ფიზიკური მეთოდები

**სემინარულ-პრაქტიკული მეცადინეობები**  
(60 სთ = 15 X 4სთ)

№	თემა
1	ჯანმრთელი ღრძილი და პაროდონტი (ინტაქტური პაროდონტი, კლინიკურად ჯანმრთელი პაროდონტი, პაროდონტის დაავადებები სტაბილიზაციის ფაზაში, პაროდონტის დაავადებები რემისიის/კონტროლის ფაზაში).
2	კატარული გინგივიტი (მხოლოდ კბილის ბალთით გამოწვეული გინგივიტი). ჰიპერტროფული გინგივიტი (ღრძილის ზომაში მატება - ნადებით გამოწვეული გინგივიტის მაპროვოცირებელი ფაქტორები და მედიკამენტებით განპირობებული ღრძილების ზომაში მატება). მწვავე წყლულოვან-ნეკროზული გინგივიტი (ნეკროზული გინგივიტი). ქრონიკული და ქრონიკული გამწვაებული წყლულოვან-ნეკროზული გინგივიტი (ნეკროზული პაროდონტიტი). კლინიკა, დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოსტიკა.
3 4	პაროდონტიტი. სტადიები, დონეები, გავრცელება. კლინიკა, დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოსტიკა. მსგავსება და განსხვავება გინგივიტს და პაროდონტიტს შორის.
5	პაპილონ-ლეფევერის სინდრომი. დეკომპესირებული შაქრიანი დიაბეტი. აივ ინფექცია/შიდსი. ეპულისი (ეპულიდები), ფიბრომატოზი (ღრძილის მემკვიდრული ფიბრომატოზი).
6	პაროდონტის დაავადებათა მკურნალობის ზოგადი პრინციპები და კონცეფცია. მკურნალობის გეგმის შედგენა და მისი თანმიმდევრობა.
7-8	პაროდონტის დაავადებათა მკურნალობის კონსერვატული მეთოდები.
9-10	პაროდონტის დაავადებათა ფარმაკოთერაპია..
11	პაროდონტის დაავადებათა მკურნალობის ქირურგიული მეთოდები
12	შერჩევითი მოქლიბვა, შინირება. ჩვენება, ჩატარების თავისებურება.
13	პაროდონტის დაავადებათა მკურნალობის ფიზიკური მეთოდები

14	სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ორგანიზებისა და დისპანსერიზაციის თავისებურებანი პაროდონტის დაავადებათა დროს.
15	შემაჯამებელი მეცადინეობა ჩათვლა

## პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებები

წელი პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებების კურსის შინაარსი მოიცავს: პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებათა კლასიფიკაციას; პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ტრავმული დაზიანებებს, ინფექციურ და ვენერიულ დაავადებებს, მიკოზებს, ვირუსულ სტომატიტებს; პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ცვლილებებს ალერგიული დაავადებების, დერმატოზების, ცალკეული ორგანოს და ორგანოთა სისტემების დაავადებების, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიების, ენდოკრინული და სისხლის დაავადებების, ჰიპო- და ავიტამინოზების, ნერვული სისტემის დაავადებების დროს; ენის და ტუჩის დაავადებებს.

### ლ ე ქ ც ი ე ბ ი (9 საათი)

№	თემა
1	პირის ღრუს ლორწოვანი გარსის შენება და ფუნქციები კლინიკური კორელაციები. დაზიანების მორფოლოგიური ელემენტები. პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებათა კლასიფიკაცია. პაციენტთა გამოკვლევის მეთოდები.
2	ტრამეული დაზიანებანი. კლინიკა, დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, მკურნალობა.
3	ვირუსული სტომატიტები: კლინიკა, დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, მკურნალობა.
4	პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ინფექციური დაავადებანი: კლინიკა, დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, მკურნალობა.
5	პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ალერგიული და ტოქსიკურ-ალერგიული დაავადებანი: კლინიკა, დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, მკურნალობა.
6	პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაზიანებანი ეგზოგენური ინტექსიკაციების, ავიტამინოზების, ორგანოთა და სისტემების დაავადებების დროს: კლინიკა, დიაგნოსტიკა, დიფერენციალური დიაგნოსტიკა, მკურნალობა.
7	პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაზიანებანი სისტემური დაავადებების და დერმატოზების დროს: კლინიკა, დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, მკურნალობა.
8	ენის დამოუკიდებელი დაავადებები და ანომალიები.

9	ქეილიტები. კიბოსწინარე დაავადებები: კლინიკა, დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, მკურნალობა.
---	---

**სემინარულ-პრაქტიკული მეცადინეობები (60 სთ = 15 X 4 სთ)**

	თემა
1-2	პირის ღრუს მორფოფუნქციური თავისებურებები. პირის ღრუს აგებულება. პირის ღრუს ანატომია და ფუნქციები. პირის ღრუს ლორწოვანი გარსის სისხლმომარაგება და ინერვაცია. დაზიანების მორფოლოგიური ელემენტები – კლინიკური კორელაციები.
3	პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებათა კლასიფიკაცია. პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებებით შეპყრობილ პირთა გამოკვლევის მეთოდები.
4	პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ტრავმული დაზიანებანი (მექანიკური, ფიზიკური და ქიმიური ტრავმა), ლეიკოპლაკია: კლინიკა, დიაგნოსტიკა, მკურნალობა.
5-6	ვირუსული დაავადებანი (ჰერპესული სტომატიტი, ინფექციური მონონუკლეოზი, შემოსარტყელული ლიქენი, შიდსი, გრიპი): კლინიკა, დიაგნოსტიკა, მკურნალობა.
7	ვენსანის წყლულოვან-ნეკროზული გინგივო-სტომატიტი (ნეკროზული სტომატიტი), მიკოზები: კლინიკა, დიაგნოსტიკა, მკურნალობა.
8-9	ალერგიული დაავადებები (ანაფილაქსიური შოკი, კვინკეს ანგიონევროზული შეშუპება, წამლისმიერი სტომატიტი, ქრონიკული მორეციდივე აფთოზური სტომატიტი, მრავალფორმიანი ექსუდაციური ერითემა). მათი გამოვლინება პირის ღრუმში: კლინიკა, დიაგნოსტიკა, მკურნალობა.
10	პემფიგუსი, პემფიგოიდი, წითელი ბრტყელი ლიქენი (ბრტყელი ლიქენი): კლინიკა, დიაგნოსტიკა, მკურნალობა.
11-12	პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაზიანებანი ავიტამინოზების, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, ენდოკრინული, გულ-სისხლძარღვთა, კოლაგენოზების, სისხლმზადი სისტემის და ნერვული სისტემის დაავადებათა დროს: კლინიკა, დიაგნოსტიკა, მკურნალობა.
13	ენის დაავადებები: კლინიკა, დიაგნოსტიკა, მკურნალობა.
14	ჰეილიტები (ექსფოლიაციური, გლანდულური, კონტაქტური ალერგიული, მეტეოროლოგიური, აქტინური, მელკელსონ-როზენტალის სინდრომი, ტუჩის ქრონიკული ნახეთქი): კლინიკა, დიაგნოსტიკა, მკურნალობა.
15	შემაჯამებელი მეცადინეობა - კოლოკვიუმი